ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის პაატა კილურაძის 2014 წლის გაწეული საქმიანობის ანგარიში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, არჩეული ვარ ბაილეთის მაჟორიტარული ოლქიდან.

2014 წლის 2 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით მონაწილეობა მივიღე 14 საკრებულოს სხდომაში, რომლის დროსაც გამოიცა 100 განკარგულება და 49 დადგენილება.

ვარ ფრაქცია“ პატრიოტთა ალიანსი“-ს წევრი და აქტიურად ვმონაწილებდი აღნიშნული ფრაქციის 7 სხდომაში.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად თვეში ერთხელ ვხვდები სოფლის ამომრჩევლებს სადაც სოფლის მოსახლეობა აყენებს საკითხს სოფელში არსებული მდგომარეობის შესახებ, ისახება გზები პრობლემების გადასაჭრელად. სოფ. ბაილეთში 5-ჯერ ჩავატარე მოქალაქეების მიღება.

ამ პერიოდში მოხერხდა და ერთჯერადი სოციალური დახმარება გაეწია სოფელ ბაილეთში მცხოვრებ რამოდენიმე ოჯახს , ხოლო ორ ოჯახს გადაეცა ფასიანი საჩუქრები. 2015 წელს იგეგმება სოფელში რამოდენიმე ადგილას ბეტონის გზის დაგება, ნაწილობრივ გვარდება სოფლის წყალმომარაგების პრობლემაც.

აქვე მოგახსენებთ, რომ გახლავართ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული „ოზურგეთის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების“ კომისიის თავმჯდომარე. საანგარიშო პერიოდში სულ შემოვიდა 12 განცხადება, რომელიც განხილული იქნა აღნიშნული კომისიის მიერ, 2 განმცხადებელს დაუდგინდა ხარვეზი, ხოლო 10-ი მოქალაქის განცხადება მიწის საკუთრების აღიარებასთან დაკავშირებით გადაწყდა დადებითად.